ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6767507

ნომერი: AR11000844

თარიღი : 16.11.2023

გაცემის თარიღი : 20.11.2023

გაცნობის თარიღი : 12.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია მგელაძე პ/ნ 01024010830
- თბილისი, ნუცუბიძის I პლატო. მე 16 კორპ ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 აპრილის №5896377 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 16 ნოემბერს №AR11000844 განაცხადით მომართა ილია მგელაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 20 აპრილის №5896377 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 20 აპრილის №5896377 ბრძანებით, №81.02.22.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 20 აპრილიდან 2024 წლის 20 აპრილის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა ილია მგელაძე (პ/ნ: 01024010830).
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 20 აპრილის №5896377 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად საპროექტო მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის ილია მგელაძის (პ/ნ: 01024010830) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის შპს „თიდას“ (ს/ნ: 406144220) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №892023047302, მომზადების თარიღი: 29/09/2023 წ.) თანახმად №81.02.22.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „თიდა“ (ს/ნ: 406144220). ხოლო, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23138934, მომზადების თარიღი: 02/10/2023 წ.) თანახმად, შპს „თიდას“ (ს/ნ: 406144220) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ილია მგელაძე (პ/ნ: 01024010830). შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №81.02.22.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „თიდა“ (ს/ნ: 406144220), რომლის უფლებამოსილი პირიც მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2022 წლის 20 აპრილის №5896377 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „თიდას“ (ს/ნ: 406144220), დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 აპრილის №5896377 ბრძანებაში და დამკვეთად ილია მგელაძის (პ/ნ: 01024010830) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „თიდა“ (ს/ნ: 406144220).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 აპრილის №5896377 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 აპრილის №5896377 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.